



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020164978793718

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 1667/ს

15 / ნოემბერი / 2018 წ.

შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ზე (ს/კ 404959489) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001149) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 100-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტისა და სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2018 წლის 8 ნოემბრის N2093 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ზე (ს/კ 404959489) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001149) ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით;
2. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადად განისაზღვროს ბრძანების გამოცემიდან ორი თვე;
3. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსს - შორენა იოსებიძეს;
4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ს და განემარტოს, რომ უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
5. ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

